პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 185 (6240)

1978 წ. 20 სექტემბერი, ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხალხთა სპარტაკიადის ფინალი-78 თბილისი

## მეოთხე დღე

## ფინიშს სტარტი მოჰყვება

დამთავრდა საბჭოთა მძლეოსნების წლევანდელი სეზონის უკანასკნელი დიდი შეჯიბრება — ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური ჩემპიონატი, რომელიც თბილისის „დინამოს" სტადიონზე ოთხ დღეს გრძელდებოდა. დამთავრდა იგი ტურნირში მონაწილე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, რსფსრ-ს ოლქებისა და მხარეების ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის გაწეული მუშაობის გენერალური დათვალიერებით.



სპეციალისტები (და გულშემატკივრებიც) საბჭოთა სპორტსმენების ევროპის ჩემპიონატში მოპოვებული მაჩვენებლებით უდავოდ კმაყოფილნი არიან. პრაღაში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ თბილისის სტადიონზე ნაჩვენები შედეგები ერთგვარად უფერული ჩანს, მაგრამ, როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. სამოტიოსოვმა (სხვათა შორის, XXII ოლიმპიადის მძლეოსანთა შეჯიბრების მთავარ მსაჯად სწორედ მისი კანდიდატურაა) ასპარეზობის შემდეგ ჩვენთან საუბარში განაცხადა: ევროპის პირველობაში ბრძოლაგადატანილი სპორტსმენებისგან საკავშირო და უფრო მაღალი რანგის რეკორდებს ვერც მოვითხოვდით, ახლა რომელიმე რესპუბლიკის, ქალაქის წარმომადგენელთა მიერ სარეკორდო მაჩვენებლების მოპოვება იშვიათობად იქცა, რადგან რეკორდებს მხოლოდ ნაკრებები თუ შესწევდებიან. ეს განსაკუთრებით გუნდურ სახეობებზე ითქმის, თორემ ისე, პირად პირველობაში ცალკეული მძლეოსნების წარმატება არც ახლაა გამორიცხული. მთელი შეჯიბრება ისე მიიწურა, რომ ერთი რეკორდიც არ გაუმჯობესებულა. ეს სეზონის დასასრულის ბრალიცაა. ახლა ათლეტებს ბუნებრივი მოდუნების ხანა დაეწყოთ, ამ პერიოდში კი სპორტსმენი იშვიათად თუ მიაღწევს თავის ზენიტს...

ეს აზრი დაადასტურა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. გიგაურმაც. როცა ვკითხეთ თუ რატომ ვერ შეძლო ს. გუბმამ შუბის ტყორცნაში თუნდაც თავისივე რესპუბლიკური რეკორდის (60,26) გამეორება, დაადასტურა თვით მსოფლიო რეკორდსმენმა 400 მეტრზე თარჯრბენში ტ. ზენეცოვამაც.

— ახლა მთავარია მზადება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის. იგი მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების ერთ-ერთ ბოლო ეტაპს შეადგენს, — გვეუბნება უკრაინელი სპრინტერი ვ. იგნატენკო, რომელმაც თბილისში სამი ოქროს მედალი მოიპოვა.

— სასპარტაკიადო სტარტებში შედეგები გაცილებით უკეთესი იქნება, ვინაიდან მომავალი წლის იმ დიდ საკავშირო ტურნირში ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებიც გათამაშდება და, რაც მთავარია, სწორედ სპარტაკიადამ უნდა დაასახელოს ქვეყნის ნაკრების კანდიდატები — ისინი, რომლებიც ოლიმპიადისთვის განსაკუთრებული გეგმით მოემზადებიან, — ამბობს მსოფლიო რეკორდსმენი ტ. პროვიდოხინა.

ჩემპიონატის მონაწილეებთან, მათ მწვრთნელებთან, მსაჯებთან საუბარში გაირკვა, რომ თბილისის სტარტებით, შეჯიბრების ორგანიზაციით, მასპინძლობით კმაყოფილნი არიან.

შეიძლება ითქვას, სანახაობრივი თვალსაზრისით ჩემპიონატის ბოლო დღე ყველაზე საინტერესო გახლდათ. იგი ესტაფეტებს დაეთმო. მაგრამ, ვიდრე საესტაფეტო ბრძოლებზე ვილაპარაკებთ, ბადროს მტყორცნელ ქალთა ასპარეზობას დავუთმოთ რამდენიმე სტრიქონი, ვინაიდან წლევანდლამდე იგი საბჭოთა ოსტატების უპირატესობით აღინიშნებოდა ხოლმე.

მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ფ. მელნიკი თბილისში არ ჩამოვიდა. ამრიგად, მისი განზრახვა, მსოფლიო რეკორდი დაებრუნებინა, გადაიდო. უმისოდ კი, რატომღაც ბრძოლას ეშხი არ ჰქონდა. ამას მონაწილენიც გრძნობდნენ. შედეგებიც მხოლოდ ამიტომ

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

**სურათებზე:** ზევით — 5000 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ა. ფედოტკინი ფინიშის შემდეგ; 4X200 მეტრზე ესტაფეტაში ამანათების გადაცემის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



...ტელეეკრანზე ელეგანტურ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი ოთხეული გამოჩნდა.

— გია ალაპიშვილი, თეიმურაზ ბერაძე, თამაზ ალაპიშვილი, გია გაგოშვილი, საქართველოს სსრ! — გაისმა დიქტორის ხმა.

სარბიელის ცენტრი, წამიერი პაუზა. ვინ იცის უკვე მერამდენედ აღიდგინეს გონებაში წლობით ხალოლიავები პროგრამის თითოეული წვრილმანი. არა, ასეთ ხელსაყრელ მომენტს იოლად როგორ დათმობენ. მით უმეტეს არასდროს ყოფილან ასე ახლოს სანუკვარ გამარჯვებასთან. ახლა მთავარია ემოციებს არ აყვნენ, დინჯად აუჩქარებლად მიიყვანონ საქმე ლოგიკურ დასასრულამდე.

წამიც და ოთხეული ერთდროულად, ერთი სხეულივით ამოძრავდა.

— შეხედეთ, როგორ მოხდენილად და ლაღად ასრულებენ ურთულეს ელემენტებს თბილისელი ჭაბუკები. თითოეული ნაბიჯი, თითოეული ჟესტი და მოძრაობა ზედმიწევნით ზუსტია. ყოჩაღ! — საქებარ სიტყვებს არ იშურებს დიქტორი.

როცა ქართველმა კვარტეტმა ვარჯიში დაამთავრა, „ემლიკის" სპორტულ დარბაზში ტაშმა იქუხა. ტაშმა იქუხა ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ფოიეშიც. შესანიშნავ ოთხეულს ოვაციები გაუმართეს საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრებმა, ადგილობრივმა სტუდენტებმა, ყველამ, ვინც გუშინ საღამოს ინტერესით ადევნებდა თვალს აკრობატთა შეჯიბრების ვიდეოჩანაწერის ტელეტრანსლიაციას.

თვით ასპარეზობა კი დილით გაიმართა. **ქართველმა ჭაბუკებმა ჯგუფურ ვარჯიშში 48,048 ქულა მოაგროვეს და სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურეს.** ოთხივე სპორტსმენი თბილისის 114-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა. იმავე დღეს ვაჟთა შორის აკრობატულ ხტომებში V ადგილი დაიკავა თბილისელმა გოჩა ბერიძემ. V ადგილზე გავიდნენ, აგრეთვე, ელმირა იუსუბოვა და ლიდია ლისტოფოროვა (გოგონათა წყვილი) და ეთერ ეჯიბია (აკრობატული ხტომები).

**გუნდურ ჩათვლაში საქართველოს აკრობატთა ნაკრებმა** (უფროსი მწვრთნელი **ნუგზარ ძუკაევი**) **807,675 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა, სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი უკრაინელმა** სპორტსმენებმა მოიპოვეს (822,575 ქულა), **II ადგილზე კი რსფსრ-ს** კოლექტივი გავიდა — 815,828 ქულა.

...მოეწყო მოჭადრაკეთა შეჯიბრების გადადებული პარტიების

## შესანიშნავი ოთხეული

### პირველი ოქროს მედალი საქართველოს აკრობატებს

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ე. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:

•

დამთავრება და გამოირკვა პირველი ორი ტურის საბოლოო შედეგები. საქართველოს ნაკრებმა (გუნდში სულ 2 გოგონა და 6 ჭაბუკია) ანგარიშით 6:2 დაამარცხა ტაჯიკეთის კოლექტივი, მაგრამ მეორე ტურში მარცხი განიცადა უკრაინელებთან — 3:5.

ახლა მესამე ქვეჯგუფში ლიდერობენ უკრაინელი მოჭადრაკეები. მათ 12 ქულა აქვთ. საქართველოს ნაკრები 9 ქულით ჯერჯერობით IV ადგილზეა.

მეორე გამარჯვება იზეიმეს ჩვენმა ფეხბურთელებმა. ამჯერად დაამარცხეს ყირგიზეთის ნაკრები — 3:1. ამ შეხვედრაში ანგარიში დ. მეშკოვმა გახსნა. შემდეგ მ. ლაცაბიძემ 11-მეტრიანი დარტყმით მეორედ აილო მეტოქის კარი. შესვენების შემდეგ ვ. გლაზოვმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა, მატჩის დასასრულს კი მ. ქავთარაძემ მესამე გოლი გაიტანა. დღეს ქართველი ფეხბურთელები რსფსრ-ს ნაკრებს ხვდებიან, რომლებსაც ასევე ორი გამარჯვება აქვთ.

სამწუხაროდ, კვლავ წარუმატებლად გამოდიან ჩვენი ხელბურთელი გოგონები და ჭაბუკები. მესამე ტურში გოგონათა გუნდი დამარცხდა რსფსრ-ს ძლიერ კოლექტივთან 17:22, ბიჭებმა კი უკვე მესამე მარცხი იწვნიეს, ამჯერად ლენინგრადელებთან — 26:28.

საქართველოს ფრენბურთელმა ვაჟებმა დაძაბულ ბრძოლაში წააგეს რსფსრ-ს გუნდთან (2:3), გოგონებმა კი ასეთივე ანგარიშით დაამარცხეს სომეხი ფრენბურთელები.

გუშინწინ სტარტი აიღეს მძლეოსნებმა, წყალბურთელებმა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა.

ცნობილია, რომ „სპორტის დედოფლის" ნორჩ ოსტატთა გამოსვლაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ამიტომ ახლა მთავარი ყურადღება მიმართულია „პახტაკორის" სტადიონისკენ, სადაც მძლეოსნებმა უკვე პროგრამის ათ სახეობაში მოსინჯეს ძალა.

საქართველოს ნაკრების წევრთა პირველი სტარტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქმეს ცუდი პირი არ უჩანს. მართალია, 400 მეტრზე მორბენალი გოგონები და ჭაბუკები, აგრეთვე, 100 მეტრზე მორბენალი გოგონები ფინალში ვერ მოხვდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ სხვა სახეობებში მოასპარეზეებმა გამოიჩინეს თავი. საკვალიფიკაციო შეჯიბრებისას სიგრძეზე მხტომელ ვაჟთა შორის საუკეთესო შედეგი (7 მეტრი, 06 სმ) აჩვენა თბილისელმა გია ჩადუნელმა, ხოლო ბადროს მტყორცნელ ვახტანგ საბანაძეს მეორე შედეგი აქვს — 55,54 მეტრი. კარგად გამოვიდნენ 100 მეტრზე მორბენალი ვაჟები. ვ. ლისაკოვმა 10,9 წამი აჩვენა და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ფინალში გავიდა, აგრეთვე, მეორე თბილისელი სპრინტერი ვ. თოფურიძე (11,0).

ტაშკენტში გამგზავრების წინ საქართველოს მოსწავლეთა XXX სპარტაკიადის ჩემპიონზე, ახმეტელ ლეილა წიწქოლაშვილზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ლეილა ჯერჯერობით ამართლებს პროგნოზებს. მან 1500 მეტრზე რბენაში მესამე შედეგი აჩვენა (4.33,1) და დღეს ფინალურ გარბენში იასპარეზებს. ამავე დისტანციაზე მორბენალ ჭაბუკთა ფინალში გამოვა თბილისელი ა. სოლოვიოვიც.

პირველ ტურში ჩვენი წყალბურთელების მეტოქე იყო სომხეთის ნაკრები. ქართველმა სპორტსმენებმა ადვილობით ჩაატარეს ეს შეხვედრა და გაიმარჯვეს — 8:1.

კარგად აიღეს სტარტი საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. წინასწარი შეხვედრები თორმეტივე ქართველმა სპორტსმენმა ჩაატარა, მათგან რვამ გამარჯვება იზეიმა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ზ. ღვინჯილიამ, ა. სიუკაევმა (ორივე — 65 კგ), მ. ხურციძემ (70) და ლ. გოგიბედაშვილმა (75). ოთხივემ ვადაზე ადრე მიაღწია გამარჯვებას.

გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები, ხვალ კი გამოვლინდებიან პირველი ჩემპიონები.

## ნარმატება „მომავლის რბოლაში"

**საბჭოთა სპორტსმენების სრული უპირატესობით აღინიშნა XVI საერთაშორისო ველორბოლა — „ტურ დე ლავენირი", რომლის ტრასა უმეტესად საფრანგეთის ალპებში გადიოდა.**

1590- კილომეტრიან დისტანციაზე 11 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებთან დავაში იმარჯვა კუიბიშეველმა **ს. სუხორუჩენკოვმა,** რომელმაც 42 საათი, 26 წუთი და 28 წამი დახარჯა. მომდევნო სამ ადგილზეც მისი თანაგუნდელები, კუიბიშეველი **რ. გალიალეტდინოვი,** ლენინგრადელი **ს. მოროზოვი** და მშვიდობის წლევანდელ ველორბოლაში გამარჯვებული კუიბიშეველი **ა. ავერინი** არიან.

საბჭოთა ნაკრებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში (127:37,42) ამკარად დაჯაბნა ყველა მეტოქე. აქ მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ იტალიისა (128:06.22) და ესპანეთის (128:09.56) კოლექტივები.

უკანასკნელი, XII ეტაპი მოიგო ფრანგმა ა. დიურანმა, რომელმაც 130 კილომეტრის გავლას 3 საათი, 5 წუთი და 50 წამი მოანდომა. ასეთივე შედეგით მეორე გახლდათ გალიალეტდინოვი, ხოლო ავერინმა მეოთხე ადგილი დაიკავა. მანვე მოიპოვა ყველაზე სტაბილური მრბოლელის წოდება, მოროზოვმა — „მთის მეფისა".

„მომავალი საბჭოთა ველოსიპედისტებისაა" — შეჯიბრების ანგარიშს გაზეთის პირველ გვერდზე ასეთი სათაურით ბეჭდავს საფრანგეთში ყველაზე ავტორიტეტული სპორტული გაზეთი „ეკიპი", რომელმაც სიტყვა „ავენირ" (ქართულად „მომავალს" ნიშნავს) გაათამაშა. „მათ 12-დან 10 ეტაპი მოიგეს, — წერს გაზეთი. — „ტურ დე ლავენირის" XVI ასპარეზობა ისტორიაში შევა, როგორც საბჭოთა სპორტსმენების სრული ტრიუმფის შეჯიბრება".

„ეკიპის" მიმომხილველი აღნიშნავს საბჭოთა გუნდის განსაკუთრებულ სტილს. „საბჭოთა გუნდის წევრები პირველიდან უკანასკნელ დღემდე, ყველა ეტაპზე ისე უკომპრომისოდ იბრძოდნენ, თითქოს მხოლოდ ერთი მონაკვეთი ჰქონდათ გასავლელი".

„საბჭოთა ფეიერვერკი" — ასე აფასებს სსრ კავშირის სპორტსმენთა გამოსვლას „ფიგარო". „საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთ მეტოქეებს მხოლოდ ნამცეცები დაუტოვეს, — ხაზს უსვამს გაზეთი, — ევროპელი სპეციალისტები დიდხანს სკეპტიკურად უდგებოდნენ მთებში საბჭოთა მბროლელების შესაძლებლობებს, მაგრამ ახლა ყველა ფაქტის წინაშეა — სსრ კავშირის ველოსიპედისტებმა საფრანგეთში შესანიშნავი მომზადება გამოავლინეს".

საფრანგეთის ახალგაზრდობის, სპორტისა და დასვენების საქმეთა მინისტრმა ჟ.-პ. სუასონმა, რომელმაც ს. სუხორუჩენკოვს მთავარი პრიზი — ფაიფურის დიდი თასი გადასცემდა, აღნიშნა, რომ საბჭოთა ნაკრების წარმატებამ ხელი შეუწყო „ტურ დე ლავენირის" ერთ-ერთ უდიდეს შეჯიბრებად გადაქცევას.

(საკდესი)

**ველოსპორტი**

# ფინიშს სტარტი მოჰყვება



დასასრული

იყო საშუალოზე ოდნავ უკეთესი. საკავშირო სპორტკომიტეტის მიერ დამტკიცებულ საჩემპიონო ნორმატივსაც (63 მ) მხოლოდ ორმა სპორტსმენმა გადაამეტა და მედლებიც მხოლოდ მათ მიიღეს — ლენინგრადელმა **ნ. გორბაჩოვამ** ძირითადი შეჯიბრების ერთ-ერთ ცდაზე 64,44 მეტრი აჩვენა, ხოლო მოსკოველმა ტ. ბერეზნაიამ ფინალის მეორე ცდაზე ბადრო 63,02 მეტრზე ტყორცნა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ჩემპიონატში მესამე ადგილი ერგო ს. პეტროვას (ბელორუსია) — 61,32 მ.

ამ ტურნირში ძალას სცდიდა საქართველოს ჩემპიონი და რეკორდსმენი **ნ. ლაბაძე**. მან ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მისი მაჩვენებლები ძირითად და ფინალურ შეჯიბრებებში საკმაოდ სტაბილური იყო — 56,58 მ; 59,74; 57,92; 59,28; 58,18... საბოლოოდ 59,74 მეტრით იგი VIII ადგილზე გავიდა და თავის კოლექტივს 13 ქულა შესძინა.

რაკი საუბარი ქულებზე ჩამოვარდა, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრების ყულაბაში კიდევ 9 ქულა შეიტანეს სპრინტერმა ვაჟებმა (ბ. მექვაბიშვილი, თ. ჩიტაძე, გ. ბაღაშვილი, ვ. ივანოვი), რომლებმაც 4×100 მეტრზე ესტაფეტაში 41,51 წამი აჩვენეს და VIII ადგილი დაიკავეს.

ამ დღის უკანასკნელი სახეობა გახლდათ ქალთა ასპარეზობა 5000 მეტრზე. იგი ჩემპიონატის პროგრამაში არ შედიოდა, მაგრამ აღსანიშნავია იმით, რომ ულიანოვსკელმა **რ. სადრეიდინოვამ** საკავშირო მიღწევა დაამყარა — 15.41,9.

ახლა ისევ ესტაფეტებს დავუბრუნდეთ. რვა ესტაფეტიდან **ლენინგრადისა და უკრაინის** კვარტეტებმა 3-3 მოიგეს, ხოლო თითოჯერ **მოსკოვისა და რსფსრ-ს** გუნდებმა იმარჯვეს. განსაკუთრებით დაძაბული გახლდათ 4×200 მეტრზე ქალთა ესტაფეტა. აქ ლენინგრადისა და მოსკოვის კოლექტივები რიგრიგობით ლიდერობდნენ. ზედ ფინიშთან ლენინგრადელები ოდნავ დაწინაურდნენ — 1.33,9. ჩემპიონს (ვ. პროსიანაია, ვ. კომისოვა, მ. სიდოროვა, ტ. ანისიმოვა) მოსკოვის გუნდი 0,1 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილი ლატვიელთა კვარტეტს ხვდა წილად — 1.35,8.

ასევე 0,1 წამმა გადაწყვიტა ჩემპიონობის ბედი 4×800 მეტრზე ქალთა ესტაფეტაში და აქაც ლენინგრადელებმა (ტ. პროვიდოხინა, ლ. ვესელკოვა, ო. დვირნა, ო. კუზიუკოვა) იმარჯვეს — 8.01,9, ოლონდ ამჯერად მათ რსფსრ-ს სპორტსმენები ჩამოიტოვეს. მესამე ადგილზე გასული მოსკოვის ნაკრები საგრძნობლად ჩამორჩა — 8.12,5.

ვაჟთა შორის ამავე სახეობაში იმარჯვა რსფსრ-ს გუნდმა (ვ. მალოზემლინი, ნ. შიროკოვი, ვ. ბელოსკოკოვი, ვ. აბრამოვი — 7.13,2), რომელმაც ქალების დამარცხებისთვის აილო რევანში და ლენინგრადის გუნდს ერთი წამით აჯობა. აქ მესამე ადგილი ერგო ბელორუსიის კვარტეტს — 7.14,4, საქართველოს სპორტსმენები XII ადგილზე გავიდნენ — 7.33,1.

მასპინძელთა გუნდი კიდევ ერთ ესტაფეტაში — ვაჟების 4×400 მეტრზე რბენაში გამოდიოდა და X ადგილი დაიკავა — 3.15,6. ამ გუნდის სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის კარგად მომზადების შემთხვევაში რამდენიმე საფეხურით მაღლა აწევა შეიძლება. საპრიზო ადგილები წილად ხვდათ უკრაინის (ვ. ევსტიუხინი, პ. რომჩინი, ვ. ბელოკონი, ვ. არხიპენკო) — 3.06,7, რსფსრ-სა (3.06,9) და მოსკოვის გუნდებს (3.07,3).

ესტაფეტებში სხვა **ტექნიკური შედეგები** ასეთია:

**ქალები. 4X100 მ.** მოსკოვი (მ. ქემალეტდინოვა, ლ. მასლაკოვა, ვ. ანისიმოვა, ლ. სტოროჟკოვა) — 44,41, რსფსრ — 45.01, ბელორუსია — 45,28; 4X400 მ. უკრაინა (ნ. ცირიუკი, მ. კულჩუნოვა, ტ. პროროჩენკო, ტ. ზუბოვა) — 3.30,1, რსფსრ — 3.32,7, ლენინგრადი — 3.41,7.

**ვაჟები. 4X200 მ.** უკრაინა (ს. გოლიუსი, ა. გალოურსკიხი, ს. კრიცშტეინი, ვ. იგნატენკო) — 1.22,9, რსფსრ — 1.23,2, ბელორუსია — 1.25,3.

ამ დღეს დავა დაამთავრეს უროს მტყორცნელებმა. შედეგები ბრწყინვალე არ გამოდგა. გამარჯვება მოიპოვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. სედიხმა (უკრაინა) — 77 მ, მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სსრ კავშირის რეკორდსმენი ბ. საიჩუკი (მოსკოვი) — 74,84 და ა. სპირიდონოვი (ლენინგრადი) — 74,68.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, საქართველოს რეკორდსმენმა ჯ. ფხაკაძემ გუნდის ინტერესები არად ჩააგდო და საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა. არადა, მას სულ ცოტა რვა საუკეთესო სპორტსმენს შორის მოხვედრის შანსები ჰქონდა. ფხაკაძის ამ საქციელზე იქნებ არაფერი გვეთქვა, ეს პირველი შემთხვევა რომ იყოს.

შეჯამდა **გუნდური შედეგები:**

**I ჯგუფში** ადგილები ასე განაწილდა: რსფსრ — 2608.5 ქულა, უკრაინა — 2482, ლენინგრადი — 1928, მოსკოვი — 1621, ბელორუსია — 1293, ყაზახეთი — 585, ლიტვა — 570,5.

**II ჯგუფი.** უზბეკეთი — 405,5 ქულა, როსტოვის ოლქი — 342,5, მოსკოვის ოლქი — 337,5, ესტონეთი — 265,5, ყირგიზეთი — 262,5, კრასნოდარის მხარე — 253, ლატვია — 248,5, ჩელიაბინსკის ოლქი — 239, სვერდლოვსკის ოლქი — 237,5, მოლდავეთი — 203,5, სტავროპოლის მხარე — 197,5, საქართველო — 189,5, აზერბაიჯანი — 155,5, თურქმენეთი — 83,5, ტაჯიკეთი — 54,5, სომხეთი — 45.

**ო. გელაშვილი,**

* * *



**სურათებზე:** ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. გორბაჩოვა; ქვევით ა. გრიგორიევი ასპარეზობის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# სურვილი სურვილად დარჩა

**ვლადიმერ** იაშჩენკო თბილისში არ ჩამოსულა, მწვრთნელებმა მისი დასვენება გადაწყვიტეს და სიმაღლეზე მხტომელთა სექტორში თითქოს ერთგვარი მოწყენილობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმ დღეს, „დინამოს“ სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა მოსაწყენად ვერ მოიცალა. ჯერ მარტო ის რად ღირდა, რომ თამასა სარეკორდო ნიშნულზე — 235 სანტიმეტრზე გაიდო. სპორტის თბილისელი გულშემატკივრები ა. გრიგორიევის ამ სურვილს გამამხნევებელი ოვაციებით შეხვდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა — გრიგორიევი აშკარად არ იყო მზად ამ სიმაღლის დასაძლევად.

ფინალურ ასპარეზობაში 9 სპორტსმენი მონაწილეობდა, 222 სანტიმეტრზე კი მხოლოდ შვიდმა მიიტანა იერიში. სწორედ ამ სიმაღლეზე გამოირკვა პრიზიორთა ვინაობაც.. 224 სანტიმეტრზე გადებულ თამასას სამმა კაცმალა შეუტია. თუმცა კიეველმა ვ. კიბამ პირველივე ცდის შემდეგ უარი განაცხადა ასპარეზობის გაგრძელებაზე და მესამე ადგილს დასჯერდა. ს. მოლოტილოვმა (მოსკოვის ოლქი) სიმაღლის დაძლევას ორი ცდა მოანდომა, ა. გრიგორიევმა — სამი. (თბილისელმა გ. სავჩენკომ 212 სმ დაძლია და გუნდს 5 ქულა შესძინა).

226 სანტიმეტრი. ამჯერად მოლოტილოვმა არ ისურვა შეჯიბრების გაგრძელება. გრიგორიევი მხოლოდ მესამე ცდაზე გადაევლო თამასას და ამ შედეგით საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე ადგილზეა მოლოტილოვი (224 სმ).

* * *

5000 მეტრზე ფინალურ გარბენში საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. აქ იყვნენ ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ა. ფედოტკინი (ბელორუსია), ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრები ბ. კუზნეცოვი (რსფსრ) და სსრ კავშირის რეკორდსმენი ამ დისტანციაზე ე. სელიკი (ესტონეთი). აგრეთვე საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონი 5000 მეტრზე რბენაში ვ. ზოტოვი (ბელორუსია) და სხვები, სულ 12 კაცი, რომელთაც წინა ეტაპზე მოიპოვეს ფინალურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება.

დასაწყისში ლიტველი ა. ანტიპოვასი დაწინაურდა და 1500 მეტრის მანძილზე ლიდერობა არც დაუკარგავს. მას კვალდაკვალ მისდევდნენ ფედოტკინი და ვ. ლოსევი (რსფსრ). ორი კილომეტრის გარბენას ანტიპოვასმა 5.26,1 წუთი მოანდომა. მეექვსე წრის შემოვლისას მორბენლებს სათავეში ფედოტკინი ჩაუდგა, რომელმაც სამი კილომეტრი 8.09,7 წუთში დაფარა. მერვე წრეზე ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა საგრძნობლად მოუმატა სისწრაფეს და მეტოქეები 20-25 მეტრით ჩამოიტოვა. მას კვალში ჩაუდგნენ სელიკი, ზოტოვი, ანტიპოვასი, ვ. მიხალსკი (უკრაინა) და ლოსევი, მაგრამ მათსა და ლიდერს შორის მანძილი გამუდმებით იზრდებოდა. 4 კილომეტრი ფედოტკინმა 10.53,3 წუთში გაირბინა და 60 მეტრით გაუსწრო მეტოქეებს. ხოლო, როდესაც უკანასკნელი წრის დაწყების ნიშნად გონგს შემოჰკრეს, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი უკვე 100 მეტრით იყო წინ. ფინიშის სწორზე, მოსახვევიდან ა. ფედოტკინი მარტოდმარტო გამოიჭრა და დისტანცია 13.30,7 წუთში დაამთავრა, მეორე იყო ე. სელიკი (13.43,2), მესამე — ვ. ზოტოვი (13.43,6).

**წ. ზამიძე.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

●

**ხელბურთი**

**ჩვენი** ქვეყნის უმაღლესი ლიგის ვაჟთა 6 გუნდი, მათ შორის თასის 1978 წლის მფლობელი თბილისის [illegible] იწყებს დღეს XVI საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის გათამაშების სტარტს. ხუთდღიან ასპარეზობაში გამოვლენ მე[illegible]ბისთვის მებრძოლი გუნდები: კიევის, მინსკის, ლვოვისა და ბაქოს ასკ, რიგის „ცელტნიეკსი“ და თბილისის „ბურევესტნიკი“. თბილისის ტურნირის მთავარი მსაჯია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ბ. გელმანი (კიევი).

ამავე ვადებში უძლიერესი ექვსეული ჩემპიონობისთვის ზაპოროჟიეში იბრძოლებს.

გუშინ საღამოს თბილისის სპორტის სასახლეში ჩვენი კორესპონდენტი **ო. ნოზაძე** დაესწრო „ბურევესტნიკისა“ და ლვოვის ასკ-ს ვარჯიშს, რომელიც ამ გუნდების ორმხრივი შეხვედრით დამთავრდა. აი რა თქვეს თბილისელთა მწვრთნელებმა — საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა, სპორტის ოსტატმა **გ. მაჭავარიანმა** და **ა. ლელაშვილმა:**

— თბილისის ტურში ჩვენი გუნდი პირველად გამოდის სრული შემადგენლობით. კოლექტივს შემოემატა საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებული ხელბურთელები და საკავშირო ნაკრების წევრები — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ანპილოგოვი და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბ. ტაბიძე.

თასის მოპოვების შემდეგ დავისვენეთ და აგვისტოში ერთთვიან შეკრებაზე ვიმყოფებოდით ლესელიძეში. უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ნაყოფიერად ვივარჯიშეთ. იქვე, შავი ზღვის სანაპიროზე ორი ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ ადლერში შეკრებაზე მყოფ მოსკოვის „კუნცევოსთან“ — მეტოქეებმა თითო შეხვედრა მოვიგეთ.

ჩვენს გუნდში შევსებაა — თელავიდან მოვიდა ნიჭიერი ხელბურთელი, პირველთანრიგოსანი რამაზ ჩიბირაშვილი, რომელიც სპორტის საპატიო ოსტატმა თამაზ ანთაძემ აღზარდა. რ. ჩიბირაშვილი (ახლა იგი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს) 202 სანტიმეტრი სიმაღლისაა (მხოლოდ 4 სმ-ით ჩამორჩება ა. ანპილოგოვს). მას კარგი ფიზიკური მონაცემები აქვს. ცხადია, ჯერ კიდევ ჩამორჩება ტექნიკასა და ტაქტიკურ მომზადებაში, რასაც, უნდა ვიფიქროთ, გულმოდგინე ვარჯიშით დაძლევს.

დღევანდელ ჩვენს მეტოქეთაგან ყველაზე ძლიერია კიევის გუნდი, რომლის კარს, როგორც ცნობილია, იცავს საკავშირო ნაკრების წევრი, ოლიმპიური ჩემპიონი მ. იშჩენკო.. გამოცდილი ხელბურთელებით არის დაკომპლექტებული ლვოველთა გუნდიც. რაც შეეხება მინსკის ასკ-ს, იგი სწრაფი, ახალგაზრდა ხელბურთელებისაგან შედგება — საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მას 6 მოთამაშე ჰყავს. რიგელები წელს შემოვიდნენ უმაღლეს ლიგაში და, უნდა ითქვას, ლამაზ, გააზრებულ თამაშს აჩვენებენ. ბაქოს გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ იგი გათამაშების აუტსაიდერია, ჩვენთვის მაინც ყველაზე უხერხულ მეტოქედ ითვლება. თვითონ განსაჯეთ: 7 მოგებული ქულიდან, აზერბაიჯანელმა ხელბურთელებმა 3 ჩვენთან შეხვედრებში აიღეს...

ამ ტურნირში ჩვენი ამოცანაა მოვიგოთ ყველა მატჩი და გავიმარჯვოთ მეორე ექვსეულში (დასკვნითი, მეოთხე წრე 30 ოქტომბრიდან — 4 ნოემბრამდე გაიმართება ლიტვის ქალაქ შაულიაიში). დაგვეთანხმებით, საკავშირო თასის მფლობელს უფლება არა აქვს სუსტად იასპარეზოს, მით უფრო მშობლიურ ქალაქში!

# გიწვევთ სპორტის სასახლეში...

●

## თბილისის ტურის კალენდარი

**20 სექტემბერი**

17.00 — ასკ (კიევი) — ასკ (ბაქო)

18.20 — ასკ (ლვოვი) — ასკ (მინსკი)

19.40 — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ცელტნიეკსი“ (რიგა).

**21 სექტემბერი**

17.00 — ასკ (კიევი) — ასკ (ლვოვი)

18.20 — ასკ (ბაქო) — „ცელტნიეკსი“

19.40 — ასკ (მინსკი) — „ბურევესტნიკი“.

**22 სექტემბერი**

17.00 — ასკ (ლვოვი) — ასკ (ბაქო)

18.20 — „ცელტნიეკსი“ — ასკ (მინსკი)

19.40 — „ბურევესტნიკი“ — ასკ (კიევი).



23 სექტემბერი — გამოსასვლელი დღე

**24 სექტემბერი**

17.00 — ასკ (ბაქო) — ასკ (მინსკი)

18.20 — ასკ (კიევი) — „ცელტნიეკსი“

19.40 — ასკ (ლვოვი) — „ბურევესტნიკი“.

**25 სექტემბერი**

09.00 — ასკ (მინსკი) — ასკ (კიევი)

10.20 — „ცელტნიეკსი“ — ასკ (ლვოვი)

11.40 — „ბურევესტნიკი“ — ასკ (ბაქო)

## გათამაშების ცხრილი

**2 წრის შემდეგ**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 19 | 2 | 1 | 656—499 | 40 |
| მაი | 22 | 19 | 1 | 2 | 678—519 | 39 |
| ზიი | 22 | 15 | 4 | 3 | 573—479 | 34 |
| „კუნცევო“ | 22 | 15 | 0 | 7 | 538—479 | 30 |
| „გრანიტ.“ | 22 | 9 | 3 | 10 | 538—529 | 21 |
| ზას-ი | 22 | 9 | 2 | 11 | 509—554 | 20 |
| ასკ (კიევი) | 22 | 9 | 1 | 12 | 481—502 | 19 |
| ასკ (მინსკი) | 22 | 7 | 2 | 13 | 517—574 | 16 |
| „ბურევეს.“ | 22 | 6 | 2 | 14 | 437—537 | 14 |
| ასკ (ლვოვი) | 22 | 6 | 1 | 15 | 517—555 | 13 |
| „ცელტნ.“ | 22 | 4 | 3 | 15 | 477—538 | 11 |
| ასკ (ბაქო) | 22 | 3 | 1 | 18 | 498—651 | 7 |

## იმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა

**ტრადიციულ** საერთაშორისო ტურნირში — „სლოვაკიის ეროვნული აჯანყების თასზე“ გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრების სპორტსმენებმა, რომლებმაც ხუთივე შეხვედრა მოიგეს. II ადგილზე არიან უნგრელი ხელბურთელები. საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოდიოდნენ მოსკოვის ცსკა-ს გუნდით, III ადგილზე გავიდნენ. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ აგრეთვე საფრანგეთის, ბულგარეთის ნაკრები გუნდები და მასპინძელთა მეორე კოლექტივი.

# ძაბული ბრძოლის მესამე თვე

ბაგიოდან (ფილიპინები), სად- ვაუთა შორის მსოფლიო პირ- ლობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩ- ის მატჩი მიმდინარეობს, საქდე- სპეციალური კორესპონდენტი ტატი ა. როშალი იტყობინება: XVII პარტიის შემდეგ, რომე- მიც კარპოვმა მეოთხე გამარჯ- ბა იზეიმა, პრეტენდენტის „ნაკ- ბი გუნდი“ კიდევ ორი „მონა- ლით“ გაიზარდა. მოქალაქეობის მქონე კაცის „კორჩნოის გუნდ- “, ადრე რომ ინგლისის, არგენ- ნის, ისრაელის, შვეიცარიის წა- მომადგენლებისაგან შედგებოდა, ეციალურად (საგანგებო განც- ებით) მიღებულ იქნა კიდევ ი წევრი (ქალი და კაცი) — ნანდა მარგას“ სექტის წარმომა- ენლები, რომელთა ცენტრი ინ- ეთში იმყოფება. ამ შევსებამ ერთო აღშფოთება გამოიწვია. მაყოფილების მიზეზი გახლდათ ა მათი ეროვნება ანდა რელიგ- რი მრწამსი. საქმე ისაა, რომ ამ ელს ფანატიკოს-ტერორისტებს ს წინათ ფილიპინების სასამარ- ლომ 17 წლით ციხე მიუსაჯა ნილაში ინდოეთის დიპლომატ- თავდასხმისთვის. აპელაციის ხილვამდე სექტანტები პრეტე- ნდენტმა მიიწვია ფსიქოლოგებად იოგების სისტემით. კორჩნოის სე- კუნდანტებმაც კი ვერ დამალეს თავიანთი უკმაყოფილება მისი ახ- ალი მეგობრების გამო.

მატჩის ორგანიზატორებმა და ჟიურის წევრებმა მტკიცედ მოით- ხოვეს დამნაშავე ელემენტების გა- ძევება სათამაშო დარბაზიდან, შე- მდეგ — საერთოდ ბაგიოდან. სე- ქტანტებმა ილოცეს ახალი პატრ- ონის წარმატებისთვის და თავიან- თი ბოროტმოქმედების გარჩევის ადგილზე გაემგზავრნენ...

თითქოს პარადოქსალურია, რომ სწორედ იმ მონაკვეთზე, რომელ- ზეც პრეტენდენტმა შეძლო ანგა- რიშში სხვაობა 2 ქულამდე შეემ- ცირებინა, კარპოვის საჭადრაკო უპირატესობა განსაკუთრებით აშ- კარა იყო. XVIII, XX და XXII პარტიებში სპეციალისტების სა- ერთო აღიარებით, მსოფლიო ჩემ- პიონს თვალშესავლები უპირატე- სობა ჰქონდა.

ამ მხრივ დამახასიათებელია XXII პარტია. აქ კარპოვმა აშკა- რად იხქარა უპირატესობის რეა- ლიზება. როცა დროის კონტროლი გავიდა, იგი ინერციით განაგრძო- ბდა ელვისებურ თამაშს და მეტ- ოქეს დამატებითი შანსი მისცა. გა- დადებულ პოზიციაში მოგება უკ- ვე აღარ იყო...

მსოფლიო ჩემპიონმა თავის მრჩევლებთან ერთად დაწვრილე- ბით გააანალიზა მომხდარი და აღიარა, რომ მეტად ჩქარობდა რევანშის აღებას XXI პარტიაში საწყენი დამარცხებისთვის და სუ- რდა მეხუთე გამარჯვება, რაც ფა- ქტიურად მატჩის ბედს წყვეტდა.

მატჩში ორი თვის მანძილზე 23 პარტია გათამაშდა. ამჟამინდელი რეგლამენტის მიხედვით უკვე ახ- ლა ეს მატჩი გათამაშებული პარ- ტიების რაოდენობით ყველაზე დი- დი იქნება უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე. როგორც ფილი- პინების გაზეთი „ბიულეტენ ტუ- დეი“ აღნიშნავს, მატჩი 24 პარ- ტიიდან რომ შედგებოდეს, როგ- ორც ომისშემდგომ წლებში იყო, კარპოვი უკვე ჩემპიონად იქნებო- და გამოცხადებული. მაგრამ ახლა საჭიროა მომავალი ბრძოლებისთ- ვის მზადება. მატჩის ანგარიშია 4:2 კარპოვის სასარგებლოდ.

**გუშინ შედგა XXIV პარტია, რომელიც გადაიდო 42-ე სვლაზე. პარტია დღეს დამთავრდება.**

## ჭადრაკი

# მეათე პარტია

გასულ ორშაბათს ქალთა მსო- ფლიო პირველობაზე ნ. გაფრინ- დაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატ- ჩში, რომელიც ბიჭვინთაში მიმდი- ნარეობს, მეათე პარტია გათამაშ- და. როგორც ვიუწყებოდით, პარ- ტია დაუმთავრებელი დარჩა.

გუშინ თამაშის განახლებისას ჩიბურდანიძის წინადადებით შეხ- ვედრა ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 6:4 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

გთავაზობთ ამ პარტიას:

**ნ. გაფრინდაშვილი —**

**მ. ჩიბურდანიძე**

**ესპანური პარტია**

**1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. d4 ed 6. 0-0 კe7 7. ეe1 0-0 8. e5 მe8 9. c3 dc 10. მ:c3 d6 11. ed cd 12. მd5 კe6 13 მ:e7+ ლ:e7 14. კg5 ლd7 15. მd4 b5 16. კc2 მ:d4 17. ლ:d4 მc7 18. ლd3 f5 19. ეad1 ეae8 20. კf4 d5 21. ლg3 ეc8 22. კb3 კf7 23. კe5 მe8 24. ეd4 ეc6 25. ეed1 მf6 26. კ:f6 ე:f6 27. კ:d5 f4 28. ლf3 კ:d5 29. ე:d5 ლc6 30. h4 ეe6 31. მფh2 ლc4 32. ეd8 ეe6 [...] 34. ეd7 ლe6 35. ეd4 [...] ლe2 37. [...] 39. ეg5 ლe6 40. ლb7 ლf6 41. ლd7 ეf8 42. მფh3 f3 43. g3 (ჩაწერილი სვლა) 43.... h6. ყაიმი.**

გაფრინდაშვილმა ამ მატჩში პირ- ველად გაითამაშა ესპანური პარ- ტია. მან მივიწყებული მწვავე გაგ- რძელება აირჩია. მე-9 სვლაზე პა- იკის შეწირვით ხელთ იგდო თამა- შის სადავეები და მისი პოზიცია საეჭვოო მომავალს ჰპირდებოდა.

მაგრამ ამ პარტიაში, როგორც ბევრ სხვაში, გაფრინდაშვილი სა- სტიკ ცაიტნოტში აღმოჩნდა. პირ- ველ ჩვიდმეტ სვლას მან თითქმის ორი საათი მოანდომა. მოსაფიქრე- ბელი დროის ნაკლებობამ დიდი დაამჩნია მის თამაშს. სიჩქარეში იგი ორჯერ (24-ე და 27-ე სვლა- ზე) ასცდა უპირატესობის რეალი- ზების სწორ გზას. მერე, როცა მა- ტერიალური თანაფარდობა აღდგა და პოზიციაც გათანაბრდა, გაფ- რინდაშვილმა პაიკი დაკარგა, მაგ- რამ გადადებულ პოზიციაში მისი რეალიზება შეუძლებელი იყო.

დღეს, 20 სექტემბერს მეთერ- თმეტე პარტია უნდა გაიმართოს. თეთრებით ჩიბურდანიძე ითამაშებს.

## რეგბი

### მოგება კიევში

თბილისის „ლოკომოტივის“ რე- ბისტებს გასულ კვირას გასვლი- მატჩი ჰქონდათ კიევში ადგი- ობრივ „პოლიტეხნიკთან“. მას- ძლებს, რომლებიც უმაღლესი ის დებიუტანტები არიან, თა- ნთი პროგრამა-მინიმუმი — ეში ადგილის შენარჩუნება — ოტულებული აქვთ, მაგრამ მაინც დღეს თავგამოდებით თამაშობდ- ჯერ-ერთი, გამარჯვებით პრე- ესაც დაიცავდნენ, და მეორეც ქალაქელი „ავიატორი“ ხომ ოს მედლებისთვის ბრძოლაში ოკომოტივის“ კონკურენტია...

ირველი წუთებიდანვე აშკა- იყო „ლოკომოტივის“ სათამაშო ატესობა. მართალია, მათ შეს- ბამდე მხოლოდ ერთხელ მია- ეს მიზანს (მე-15 წუთზე დ. ასონიამ საჯარიმო ზუსტად ტყა), მაგრამ შემდეგში სტუ- მა რამდენიმე ხელსაყრელი ნტი ვერ გამოიყენეს.

ტჩის მეორე ნახევარში კილა- იამ ისევ საჯარიმოთი დააწინა- გუნდი — 6:0, მე-60 წუთზე ლიტეხნიკმა“ სტუმართა „ქალა- აღება შეძლო. მდგომარეობა ძაბა. ამ მომენტში ჩემპიონო- პრეტენდენტებმა ნამდვილი ძოლის თვისებები გამოავლი- — ფ. გაბაძემ კარგად დაავი- ნა პარტნიორთა იერიში და ი „პოლიტეხნიკის“ ჩათვლით ანზე დადო. კილასონიამ რეა- ცია გამოიყენა, მერე მანვე იმოთი ანგარიში 15:4-მდე აი- .

ლასონიამ ამ მატჩში თავის ს 11 ქულა მოუპოვა და წლე- ლ პირველობაში 100 ქუ- საუკეთესო ბომბარდირის სა- ე აცხადებს პრეტენზიას.

ბნიგზელებს პირველობის კი- ორი მატჩი აქვთ ჩასატარებე- 24 სექტემბერს — მოსკოვში ლობრივ თანაკლუბელებთან, 1 ოქტომბერს „სლავასთან“. ოკომოტივი“ ასეთი შემადგე- ით თამაშობდა: სუთიაშვილი, რიშვილი, შ. ხარშილაძე, ჯვა- წერეთელი, ღიბრაძე, დო- ცხვედიანი, კილასონია, ან- გაბაძე, ზ. ხარშილაძე, მ. ხა- ლაძე, ლიპარტელიანი, გიო- .

**ს. რამინიშვილი,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**



ფოტოზე: თბილისელ და რეგბისტთა შეხვედრის მო-

ავტორის ფოტო.

## კალათბურთი

# ფავორიტები ემზადებიან

### მსოფლიოს VIII ჩემპიონატის წინ

## იტალია

ამ ქვეყანაში კალათბურთს საკ- მაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. უკვე 1921 წელს დაარსდა იტალი- ის კალათბურთის ფედერაცია. წლევანდელი ჩემპიონატი რიგით 54-ეა. იტალიის პირველი ჩემპიო- ნი იყო მილანის სპორტული კლუ- ბი „ასსი“. საერთოდ მილანის კლუბები ჩემპიონატში საკმაო წა- რმატებით ასპარეზობენ. ქართვე- ლი კალათბურთის მოყვარულების- თვის ცნობილი „სიმენტალი“ 25- ჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი. საერ- თაშორისო ასპარეზზე „სიმენტა- ლის“ ყველაზე დიდი წარმატება იყო 1966 წელს ევროპის ჩემპიო- ნთა თასის დაუფლება და 1971 და 1972 წლებში თასის მფლობელთა თასის მოპოვება. ამჟამად „სიმენ- ტალმა“ შეიცვალა სახელი და „ინოჩენტის“ სახელწოდებით გა- მოდის. თუ იტალიური კალათბურ- თის წარსული დიდება „სიმენტა- ლის“ სახელთანაა დაკავშირებული, მისი დღევანდელი დიდება „მობი- ლჯირჯია“. ეს კლუბი იტალიური კალათბურთის ასპარეზზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოჩნდა. 1946-47 წლებში მან მხოლოდ VIII ადგილი დაიკავა. ამ დროს გუნდი „ვალაკანესტროს“ სახელს ატარებ- და. 10 წლის შემდეგ გუნდმა მი- იღო „ინისის“ სახელი. „ინისის“ პირველი დიდი წარმატება იყო 1961 წელს იტალიის ჩემპიონის ტი- ტულის მოპოვება. მან ეს წარმა- ტება 1964 წელსაც გაიმეორა. სა- ერთოდ კი „ინისი“ ძალიან ხში- რად მეორე იყო. ენამოსწრებუ- ლმა იტალიელმა ჟურნალისტებმა მას „მუდამ მეორეც“ კი შეარქვეს.

სამოცდაათიან წლებს იტალიე- ლი მიმომხილველები სავსებით სა- მართლიანად უწოდებენ „ინისის“ ერას. 1969 წლიდან დაწყებული „ინისიმ“ მხოლოდ ორჯერ (1972 წელს „სიმენტალს“ და 1975 წელს „ფორსტ“ კანტუს) დაუთმო ჩემპი- ონის ტიტული. სავსებით კანონ- ზომიერი იყო „ინისის“ წარმატე- ბები საერთაშორისო ასპარეზზე. 1967 წელს „ინისი“ გახდა თასის მფლობელთა თასის მფლობელი. ხოლო 1970 წლიდან წარმატებით თამაშობს ჩემპიონთა თასზე. „მო- ბილჯირჯის“ ეკუთვნის ევროპის კალათბურთის ისტორიაში ერთ- ერთი უნიკალური მიღწევა. მხედ- ველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ 1970 წლიდან მოყოლებული „ინი- სი“ (დღევანდელი „მობილჯირჯი“) ჩემპიონთა თასის ფინალური მატ- ჩების უცვლელი მონაწილეა. იგი ხუთჯერ (1970, 1972, 1973, 1975 და 1976) ფლობდა ჩემპიონთა თასს, ხოლო 1971, 1974, 1977 და 1978 წლებში ფინალური მატჩის მონაწილე გახლდათ. რით აიხსნება კლუბის ასეთი სტაბილური გამოს- ვლები? „მობილჯირჯის“ („ინი- სის“) წარმატებას ზოგიერთი სპე- ციალისტი უცხოელი ვარსკვლავე- ბის თამაშით ხსნის. მაგრამ არ შე- იძლება უგულვებელვყოთ თვით იტალიელ კალათბურთელთა წვლი- ლი საკუთარი კლუბის წარმატება- ში. ანგარიშგასაწევია კომერციუ- ლი ფაქტორიც, რომელიც საშუა- ლებას აძლევს კლუბს თავის რი- გებში მიიწვიოს უძლიერესი მო- თამაშეები.

უკანასკნელ ხანებში სერიოზულ წარმატებას მიაღწია მეორე იტა- ლიურმა კლუბმა „ფორსტმა“. მარ- თალია „ფორსტი“ ქვეყნის პირვე- ლობას დაძაბული ბრძოლის შემ- დგომ სახელგანთქმულ „მობილ- ჯირჯის“ უთმობს, მაგრამ საკმაო წარმატებით ასპარეზობს საერთა- შორისო სარბიელზე. იგი სამჯერ (1973 წელს, 1974 წელს და 1975 წელს) ფლობდა რ. კორაჩის თასს, ხოლო წლეულს თასის მფლობელ- თა თასი მოიპოვა. ამჟამად გუნდი „გაბეტის“ სახელით გამოდის.

საერთაშორისო ასპარეზობებში იტალიის კლუბების წარმატებებმა კეთილისმყოფელი გავლენა მოახ- დინა ნაკრების გამოსვლებზე. შე- მთხვევითი როდია, რომ იტალიის ნაკრების აღმავლობის ხანა სამოც- დაათიანი წლებიდან იწყება. 1970 წ. მსოფლიოს VI ჩემპიონატი იუგოსლავიაში — IV ადგილი. 1971 წელი, ევროპის პირველობა — III ადგილი. 1972 წელი, XX ოლიმპიური თამაშები, მიუნხენი — IV ადგილი, 1975 წელი, ევროპის პირველობა — III ადგილი. 1976 წელი, XXI ოლიმპიური თამაშები, მონრეალი — V ადგილი. 1977 წე-



ლი, ევროპის პირველობა — IV ადგილი. იტალიელთა წარმატებები მჭიდროდაა დაკავშირებული ევრო- პის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთ- ნელის ჯანკარლო პრიმას სახელთან.

მსოფლიოს მერვე ჩემპიონატი- სათვის იტალიის ნაკრები საკმაოდ გულმოდგინედ ემზადება. უკვე ივ- ნისში მან მონაწილეობა მიიღო ვენეციაში გამართულ საერთაშო- რისო ტურნირში. 14-16 ივლისს იტალიის ერთ-ერთ საკურორტო ქალაქში გაიმართა კიდევ ერთი სა- ერთაშორისო ტურნირი. ამავე დროს იტალიის ზღვისპირა ქალაქებში გა- იმართა რიგი საერთაშორისო ტურ- ნირები, რომლებშიც მონაწილეობ- დნენ უმაღლესი ლიგის კლუბები. მართალია, არც კლუბებს და არც ნაკრებს ამ ტურნირებში წარმატე- ბისათვის არ მიუღწევიათ, სამაგი- ეროდ ნაკრების ხელმძღვანელობამ შეამოწმა კანდიდატთა დიდი ჯგუ- ფი. „სკუადრა აძურას“ მზადების გადამწყვეტ ეტაპს წარმოადგენს ტურნე ამერიკის შეერთებულ შტა- ტებში (18 — 27 სექტემბერი). 28 სექტემბერს იტალიელები მანილა- ში ჩავლენ.

იტალიაში ყოველთვის მოიძებ- ნება მაღალტექნიკური მოთამაშე- ები. ამ მხრივ გამონაკლისს არც დღევანდელი „სკუადრა აძურა“ წარმოადგენს. დაცვაში ყველაზე კოლორიტული ფიგურაა „გაბეტის“ მცველი **პიერინო მარზორატი** (1952 წ. 187 სმ). მარზორატის მა- ღალ კლასზე უკვე ის ფაქტი ლა- პარაკობს, რომ ის 1976 წელს იყო იტალიური საკალათბურთო რევიუს „გიგანტი დელ ბასკეტის“ კონკურ- სში გამარჯვებული და ევროპის საუკეთესო კალათბურთელად იქნა დასახელებული. პ. მარზორატი ფლობს გადაცემის მაღალ კულტუ- რას. მონრეალის ოლიმპიურ თამა- შებზე საშუალოდ ერთ მატჩში შე- სრულებული შედეგიანი გადაცემე- ბის რიცხვით პ. მარზორატი მეო- რე ადგილზე (პირველი იყო ფ. ფორდი — 9,0) გამოვიდა — 8,0. პასის მაღალი კულტურა, ბურთის ტარების ტექნიკა საშუალებას აძ- ლევს მარზორატის დაძლიოს მო- წინააღმდეგის დაცვა. მარზორატი ამავე დროს საკმაოდ ზუსტად უტევს მოწინააღმდეგის კალათსაც.

**დინო მენეგინი** („მობილჯირჯი“ 1950, 205 სმ) — თანამედროვე ცენტრალური თავდამსხმელის ეტა- ლონია. ყოველთვის მობილური სპორტსმენი. კარგად თამაშობს და- ცვაში და თავდასხმაში, ეუფლება ფარიდან ასხლეტილი ბურთების უდიდეს ნაწილს, არის შეტევის ორგანიზატორი.

შარშანდელ ევროპის ჩემპიონატ- ში დაწინაურდა ვენეციის „კანო- ნის“ თავდამსხმელი **ლორენცო კა- რარო**, (1953, 203). იგი, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ძალი- ან კარგად თამაშობს თავდასხმაში და გამოირჩევა ტყორცნების სიზუ- სტით. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ლ. კარარო წლეულს ევროპის ნაკრებში იქნა შეყვანილი. მაღა- ლი კლასის კალათბურთს უჩვენე- ბენ სხვებიც. **ჯულიოიელინი** (189 სმ), **ალდო ოსოლა** (191 სმ), **მა- რიო ზანატა** (198 სმ), **ივან ბისონი** (ყველა — „მობილჯირჯი“, 202 სმ), **რენცო ბარივიერა** („ინოჩენციო“, 200 სმ) **ფაბრიციო დელა ფიორი** („გაბეტი“, 204 სმ).

უნდა აღინიშნოს ის თვალსაჩი- ნო განსხვავება, რომელიც არსე- ბობს კლუბებისა და ნაკრების თა- მაშის ტაქტიკაში. კლუბების მწვრთ- ნელები თავდასხმაში თამაშს ძირი- თადად ამერიკელებზე აგებენ და ისინიც (ხშირად გუნდის საზიანოდ) აგროვებენ რა უამრავ ქულებს, ამა- რთლებენ იმ გასამრჯელოს, რომ- ელსაც მათ კლუბების ხელმძღვანე- ლები უხდიან. თვით ნაკრების წევ- რებიც კი იძულებული არიან თა- ვიანთ კლუბებში უფრო მეტად უცხოელებზე ითამაშონ. ასე მაგა- ლითად, „მობილჯირჯის“ შემადგენ- ლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე რობერტ მორსის ზურგს უკან თით- ქმის არ ჩანს, იკარგება ივან ბი- სონი, ხოლო ზანატა იძულებულია დაიხიოს უკან და დაცვაში ითამა- შოს. ნაკრებში კი ეს კალათბურ- თელები წამყვან როლს ასრულე- ბენ. თუმცა მწვრთნელი **ჯანკარლო პრიმა** ჯერჯერობით კარგად ართ- მევს თავს ასეთ გადაადგილებას.

უკანასკნელ ხანებში საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია იტალიის ნაკრების ფიზიკურმა მომზადებამ. გუნდი გამოირჩევა სწრაფი კონტ- რშეტევის უნარით. დღევანდელი იტალიის ნაკრები ფიზიკური მომ- ზადებით თითქმის არ ჩამოუვარ- დება იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებს, ხოლო ევროპის სხვა გუნდებს კიდეც სჯობნის.

კალათბურთის ყველაზე მნიშვ- ნელოვან ტექნიკურ ელემენტში, ტყორცნაში, იტალიელებმა შორს გაუსწრეს თავის უშუალო კონკუ- რენტებს. ფიდოსტატური ზღვარი (თამაშიდან ჩაგდებული ბურთების 50 პროცენტი) იტალიის საუკეთესო კალათბურთელებისა და კლუბები- სათვის უკვე დიდი ხანია აღარ წა- რმოადგენს იშვიათობას. იტალიელ კალათბურთელთა შორის სნაიპე- რული ტყორცნებით გამოირჩევიან: მენეგინი (59 %), მარზორატი (58 %), ბარივიერა (55 %), დელა ფიორი, ბისონი, ოსოლა (52 %). არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ყვე- ლაფერი ხდება დაცვაში უაღრე- სად მობილური თამაშის, მჭიდრო მეურვეობის პირობებში. ამიტომ თამაშიდან ჩაგდებული ბურთების ესოდენ მაღალი პროცენტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იტალიის ნაკ- რების წამყვანი კალათბურთელების ოსტატობას.

სწრაფი შეტევა იტალიის ნაკრე- ბის სტიქიაა. ისინი ძალიან ბევრს უტევენ საშუალო დისტანციები- დან. ამ მხრივ განსაკუთრებით გა- მოირჩევიან სნაიპერები: მარზო- რატი, ზანატა, კარარო, ბარივიე- რა. საკმაოდ მრავალფეროვნად თამაშობს „სკუადრა აძურა“ დაც- ვაში. პერსონალურ მეურვეობას მოედნის საკუთარ ნახევარზე უხა- მებს აქტიურ „ზონას“.

გადაჭარბება იქნება ვიფიქროთ, რომ იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის რეალური კანდიდატია (ამ მხრივ მისი შან- სები უდავოდ უფრო მცირეა, ვი- დრე ამერიკელების და იუგოსლა- ვიელებისა), მაგრამ თამამად შე- იძლება ითქვას, რომ იტალიელებს ყველა საშუალება აქვთ იბრძო- ლონ საპრიზო ადგილებისთვის.

**მ. კალანდაძე.**

## კაფრონობა

**ინგლისის** ქალაქ ვეიმუტის მიდამოებში დამთავრდა „ტორნადოს“ კლასის კატამარანებით მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ოქროს მედლები მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ვ. პოტაპოვმა (მოსკოვის ოლქი) და ა. ზიბინმა (ტალინი). მათ უკან ჩამოიტოვეს ცნობილი მრბოლელები, ოლიმპიური ჩემპიონი რ. უაიტი (ინგლისი), ევროპის ჩემპიონი ტ. იოჰანი (გფრ) და სხვანი.

## წყალბურთი

**დამთავრდა** წყალბურთელთა გუნდების ნახევარფინალური ტურნირები სსრ კავშირის თასზე.

ბაქოში თავი მოიყარეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბის (მოსკოვი), კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის (ბაქო), ხარკოვის „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებმა. ფინალის ორი საგზური მოიპოვეს მოსკოველმა მეზღვაურებმა და ხარკოველმა რკინიგზელებმა.

კიევში ასპარეზობდნენ ალმაათის, ლვოვისა და ადგილობრივი „დინამოს“, აგრეთვე, ტაშკენტის „მეხნატის“ გუნდები. I-II ადგილებზე გავიდნენ ალმაათელი და კიეველი თანაკლუბელები, რომლებმაც 4-4 ქულა დააგროვეს, მათ შორის შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:4.

ამრიგად, ფინალში, რომელიც 23-25 სექტემბერს მოსკოვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის აუზში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ მასპინძლები, კიევისა და ალმაათის „დინამო“ და ხარკოვის „ლოკომოტივი“.

## სროლა

**პოლონეთის** ქალაქ ბიდგოშჩის სასროლეთზე მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა დოსაოფელებმა სამი საპრიზო ადგილი მოიპოვეს. სტანდარტული პისტოლეტით 25 მეტრიდან ასპარეზობაში კალინინგრადელმა ტ. ტურიშჩევმ და მინსკელმა ლ. სევერიუხინამ თითოეულმა 579 ქულა მოაგროვეს და II და III ადგილები დაიკავეს. მათ ორი ქულით აჯობა ნ. კოტროცამ (უნგრეთი). ნებისმიერი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში მოსკოველმა ს. გუმანიუკმა 539 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. პირველობა წილად ხვდა პ. კარპაჩევს (ბულგარეთი) — 543.

## კრივი

**რვა** ქვეყნის მოკრივეები მონაწილეობდნენ ვ. პროხაზკას მემორიალში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ოსტრავაში დამთავრდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ი. რამოსმა (კუბა), ო. მარონმა (ჩეხოსლოვაკია), ხ. ტორესმა (კუბა), მ. შანდორმა, ვ. კოხენიმ (ორივე — ჩეხოსლოვაკია). ლ. სანდუმ (რუმინეთი), რ. როსიჩკამ, თ. ფრანეკმა (ორივე — ჩეხოსლოვაკია), დ. მარქსმა (გდრ), რ. როიასმა (კუბა) და დ. მაიერმა (გდრ).

## კალათბურთი

**მოსკოვის** „სპარტაკის“ კალათბურთელმა ქალებმა გაიმარჯვეს ბულგარეთის ქალაქ პერნიკში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში. გადამწყვეტ შეხვედრაში მათ სძლიეს ბულგარეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ადგილობრივ „მინიორს“ — 60:49 (28:20).

## ველოსპორტი

**ქალთა** შორის გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა ჰოლანდიელმა კეტი ვან სტენ-ჰაგემ მიუნხენის ოლიმპიურ ტრეკზე ერთსაათიან რბოლაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 43 კმ. 82,92 მ გაიარა. ეს [illegible] მარი კრესარის (იტალია) მიერ მეხიკოს ტრეკზე დამყარებულ მიღწევას.

**დიდი მასშტაბის** ოფიციალური საერთაშორისო შეჯიბრებები ფეხბურთში არსებითად წარმოადგენს ერთ მთლიან ციკლს, რომელიც მიმდინარეობს ასპარეზობათა მონაცვლეობით. სულ ახლახან არგენტინაში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი, ახლა დღის წესრიგშია ევროპის მორიგი პირველობა, შემდეგ კი კარს მოგვადგება ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირი.

**დღეს ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე გაიმართება საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩი ევროპის ჩემპიონატის VI საკვალიფიკაციო ჯგუფში.**

სანამ შევეხებოდეთ უშუალოდ ამ მატჩს, შეგახსენებთ, რომ კონტინენტის მორიგი, რიგით VI ჩემპიონატი ტარდება ახალი სისტემით. მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ფინალისტთა რაოდენობა აღრინდელთან შედარებით გაიზარდა ორჯერ, ე. ი. გათამაშების დასკვნით ეტაპში მონაწილეობას მიიღებს არა 4, არამედ 8 კოლექტივი. ერთ-ერთი მათგანი, კერძოდ, იტალიის ნაკრები უშუალოდაა დაშვებული ფინალში, როგორც მასპინძელი ქვეყნის გუნდი. დანარჩენი 31 ქვეყანა კი განაწილებულია 7 წინასწარ ჯგუფში, სადაც გათამაშება ჩატარდება 2 წრედ, შინ და სტუმრად.

მონაწილეთა დაყოფა ჯგუფებად მოხდა კენჭისყრით, ამასთან ის ქვეყნები, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატებში წინა წლებში მოპოვებული ჰქონდათ მაღალი მაჩვენებლები, განაწილებული იქნენ იმგვარად, რომ გათამაშების აღრეულ ეტაპზე არ შეხვედროდნენ ერთმანეთს. ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნენ გფრ, სსრ კავშირი, ბელგია, იუგოსლავია, ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია. ცალკე გამოყვეს აუტსაიდერებიც (დანია, ნორვეგია, ისლანდია, კვიპროსი, ფინეთი, ლუქსემბურგი, მალტა), რომლებიც ანალოგიური პრინციპით გაანაწილეს სხვადასხვა ჯგუფში. დანარჩენი გუნდებისთვის კენჭისყრა საერთო იყო.

მოგვყავს ამ ქვეჯგუფების შემადგენლობანი:

I. ინგლისი, დანია, ირლანდია, ბულგარეთი, ჩრ. ირლანდია.

II. ბელგია, ნორვეგია, ავსტრია, შოტლანდია, პორტუგალია.

III. იუგოსლავია, კვიპროსი, რუმინეთი, ესპანეთი.

IV. ჰოლანდია, ისლანდია, პოლონეთი, გდრ, შვეიცარია.

V. ჩეხოსლოვაკია, ლუქსემბურგი, შვეცია, საფრანგეთი.

VI. სსრ კავშირი, ფინეთი, უნგრეთი, საბერძნეთი.

VII. გფრ, მალტა, უელსი, თურქეთი.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები უკვე დაიწყო. ისლანდიის ნაკრებმა მარცხი განიცადა პოლონელებთან შეხვედრაში — 0:2. ავსტრიელებმა ასეთივე ანგარიშით მოუგეს ნორვეგიას, ხოლო საფრანგეთისა და შვეციის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

სპორტის მოყვარულთათვის, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მცირე ექსკურსი გავაკეთოთ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში. ადრე ამ შეჯიბრებას ერქვა ევროპის თასი, ხოლო შემდეგ მას ევროპის ჩემპიონატი ეწოდა.

**ევროპის I თასი (1958-1960 წ. წ.).** ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდები. მატჩი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, რომლებიც დაეუფლნენ კიდეც თასს — 2:1. გამარჯვებულთა შემადგენლობაში იყვნენ: იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ

# დღეს „რაზდანის“ სტადიონზე

●

## ევროპის VI ჩემპიონატი

ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის გუნდები. გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკელებმა — 2:0.

**ევროპის II თასი (1962-1964 წ. წ.).** საბჭოთა კავშირის ნაკრები კვლავ გავიდა ფინალში, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა დაუთმო ესპანეთის გუნდს — 1:2. III ადგილზე გავიდნენ უნგრელები, რომლებმაც დაამარცხეს დანიის ნაკრები (3:1).

**ევროპის III ჩემპიონატი (1966-1968 წ. წ.).** საბჭოთა ფეხბურთელები გავიდნენ ფინალურ ოთხეულში, მაგრამ აქ მოხდა საინტერესო ამბავი: სსრ კავშირისა და იტალიის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0. მომინდელი წესების თანახმად დაინიშნა კენჭისყრა, რომელმაც უპირატესობა მიაკუთვნა იტალიელებს. შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა III ადგილისთვის ითამაშა ინგლისის გუნდთან და დამარცხდა — 0:2. ფინალში იტალიისა და იუგოსლავიის გუნდებმა პირველი შეხვედრა დაამთავრეს ფრედ — 1:1, განმეორებითმა მატჩმა კი ოქროს მედლები იტალიელებს მოუტანა — 2:0.

**ევროპის IV ჩემპიონატი (1970-1972 წ. წ.).** საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფში დაძლია ესპანეთის, ჩრ. ირლანდიისა და კვიპროსის გუნდების წინააღმდეგობა, შემდეგ მეოთხედფინალში დაამარცხა იუგოსლაველები, ნახევარფინალში — უნგრელები, მაგრამ ფინალში წააგო ევროპის ახალ ჩემპიონთან — გფრ-ის გუნდთან — 0:3. III ადგილი წილად ხვდათ ბელგიელებს, რომლებმაც ანგარიშით 2:1 მოუგეს უნგრეთის ნაკრებს.

**ევროპის V ჩემპიონატი (1974-1976 წ. წ.).** ეს იყო კონტინენტის ერთადერთი ჩემპიონატი, როცა საბჭოთა ნაკრები ვერ მოხვდა უძლიერეს ოთხეულში. მატჩი ოქროს მედლებისთვის გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის გუნდებს შორის. იგი დამთავრდა ფრედ — 2:2, დამატებითი პენალტების სერიამ კი წარმატება მოუტანა ჩეხოსლოვაკიელებს — 5:3. მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ ჰოლანდიისა და იუგოსლავიის გუნდები. გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 3:2.



**საბერძნეთის** ნაკრები, რომელთანაც ახლანდელი ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი აქვს ჩვენს გუნდს, არ მიეკუთვნება საერთაშორისო ფეხბურთის ელიტას. მას, მაგალითად, არც ერთხელ არ მიუღწევია ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალამდე. შარშან ბერძნებმა ჩაატარეს რამდენიმე საერთაშორისო მატჩი, სადაც წააგეს ავსტრიასთან — 0:2, ჩეხოსლოვაკიასთან — 0:4, სსრ კავშირთან — 0:2, უნგრეთთან — 0:3, რუმინეთთან — 1:6, ფრედ ითამაშეს ბულგარეთთან — 0:0 და იუგოსლავიასთან — 0:0. ერთადერთი მატჩის მოგება მათ შეძლეს სსრ კავშირის ნაკრებთან — 1:0.

რამდენიმე სიტყვა სსრ კავშირისა და საბერძნეთის გუნდების ორშაბათელ შეხვედრაზე (ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები). პირველი თამაში შედგა 24 აპრილს მოსკოვში და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0 (ბურთები გაიტანეს კონკოვმა და ყიფიანმა). საპასუხო მატჩი 10 მაისს სალონიკში მოიგეს ბერძნებმა — 1:0 და სწორედ ამ დამარცხებამ გამოთიშა საბჭოთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომი მსვლელობიდან.

საბჭოთა კავშირისა და საბერძნეთის გუნდები დღემდე ერთმანეთს შეხვედრიან სულ ექვსჯერ და ყოველთვის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირებში. 1965 წელს საბჭოთა გუნდმა გაიმარჯვა 3:1 და 4:1. 1967 წლის 16 ივლისს მეტოქეები ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში, სადაც გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 4:0, ხოლო მიმდევ წლის 31 ოქტომბერს კიდევ იქნა მოპოვებული ერთი გამარჯვება, ამჯერად [illegible] — 1:0. მომდევნო 2 მატჩზე საბჭოთა [illegible] გვქონ[illegible] ტრია ერევანში.

სსრ კავშირის ნაკრებმა უფროსი მწვრთნელის ნ. სიმონიანის ხელმძღვანელობით წლეულს 8 საერთაშორისო საკონტროლო მატჩი ჩაატარა უცხოეთის გუნდებთან, რომელთა შორის იყვნენ გფრ-ის, რუმინეთის, მაროკოს, ფინეთის ნაკრები კოლექტივები. ბოლო შეხვედრა ჩვენს გუნდს ჰქონდა ირანის ნაკრებთან, რომელიც მოგებული იქნა ანგარიშით 1:0. ამ მატჩში საბჭოთა ნაკრები გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: დეგტიარევი, ბრიგოდა, ბუბნოვი, ხორბუნოვი, ქუპაკოვი, კონკოვი, ხიდიატულინი, ბურიაკი, ბესონოვი, იარცევი (გაზაევი, ანი), ბლოხინი.

ბერძნებისთვის ერევნის მატჩი რიგით მეორეა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში. პირველი შეხვედრა მას ფინეთში აქვს წაგებული ამ ქვეყნის ნაკრებთან — 0:3.

**რ. ქორიძე**

* * *

მოგვყავს VI შესარჩევი ჯგუფის შეხვედრათა საერთო კალენდარი:

**20. IX. 1978 წ.** ფინეთი — უნგრეთი.

**11. X. 1978 წ.** უნგრეთი — სსრ კავშირი, საბერძნეთი — ფინეთი.

**28. X. 1978 წ.** საბერძნეთი — უნგრეთი.

**2. V. 1979 წ.** უნგრეთი — საბერძნეთი.

**19. V. 1979 წ.** სსრ კავშირი — უნგრეთი.

**4. VII. 1979 წ.** ფინეთი — სსრ კავშირი.

**12. IX. 1979 წ.** საბერძნეთი — სსრ კავშირი.

**17. X. 1979 წ.** უნგრეთი — ფინეთი.

**31. X. 1979 წ.** სსრ კავშირი — ფინეთი.

20 სექტემბრის მატჩის ტრანსლაციას ცენტრალური ტელევიზია აწარმოებს I პროგრამით 20 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით.

●

**ბერძნების 5 მატჩი**

საბერძნეთის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა წლეულს ჩაატარა 5 საერთაშორისო მატჩი. მან ანგარიშით 2:0 დაამარცხა კვიპროსის ნაკრები, ფრედ ითამაშა ავსტრიელებთან (1:1) და წააგო ჩეხოსლოვაკიის (0:1), პოლონეთისა (2:5) და ფინეთის (0:3) გუნდებთან.

### მეზადებიან...

**ვოლგოგრადი, 18 სექტემბერი.** სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები მზადებას შეუდგა უეფა-ს მორიგი ტურნირისთვის, რომელიც ევროპის არაოფიციალურ ჩემპიონატს წარმოადგენს. მას აქ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჰქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანატოლთა ნაკრებთან.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა. ბურთები გაიტანეს კოროზამ (გროდნოს „ხიმიკი“) და ზელანოვმა (ოდესის „ჩერნომორეცი“).

### ვეტერანები ცხინვალში

ცხინვალში ამ დღეებში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ერევნის „არარატის“ ვეტერან ფეხბურთელთა და ადგილობრივ „სპარტაკს“ შორის.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. სტუმრების მხრივ ბურთები გაიტანეს პოლოსიანმა და იშტოიანმა, ხოლო სპარტაკელთაგან ორივე გოლი ეკუთვნის ი. შაგოევს.

**ვ. ველქოევი.** (ჩვენი კორ.).

## ფეხბურთი

### „39-ე და ყველაზე უარესი“

ცნობილმა ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა რენსენბრინკმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი მონაწილეობა ფინალურ მატჩში არგენტინელთა წინააღმდეგ „39-ე და ყველაზე უარესი თამაში იყო ეროვნულ ნაკრებში. დასკვნა ნათელია — საჭიროა ახალგაზრდებს დავუთმო გზა“.

### დიდი დეფიციტი

იტალიის პროფესიული კლუბების საერთო დავალიანებამ 170 მილიონ დოლარს მიაღწია. ამასთან დაკავშირებით იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა რ. ფიგეტიმ განაცხადა:

— ჩვენი ერთადერთი შანსი იმაში მდგომარეობს, რომ 1980 წელს ევროპის ჩემპიონები გავხდეთ. მხოლოდ ეს გარემოება მოიყვანს სტადიონზე მაყურებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ვალი გაიზრდება და შეიძლება იტალიის ეროვნულ ბიუჯეტს გაუთანაბრდეს.

### თავისებური „გამხნევება“

მას შემდეგ, რაც ტუნისელებმა ყველასათვის მოულოდნელად წარმატებით ითამაშეს მსოფლიო ჩემპიონატში, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ თავისებური გადაწყვეტილება მიიღო: ნაკრების ფეხბურთელებს ნება მიეცათ უცხოეთის კლუბებთან დადონ ხელშეკრულება.

### ხარჯებს ვერ უძლებენ

როგორც წლის დასაწყისში გამოცხადდა, დანიის III ლიგის კლუბ „ფრემად ჰერნინგში“ თამაში დაიწყო გამოჩენილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა 38 წლის ბობი მურმა. ახლა ეს ხელშეკრულება დარღვეულია და აი რატომ: „ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეამაყება, რომ გუნდის შემადგენლობაში დიდი ფეხბურთელი გამოდის, — განაცხადა კლუბის ერთ-ერთმა დირექტორმა, — მაგრამ, მეორე მხრივ, იძულებული ვართ დავარღვიოთ ეს ხელშეკრულება. ბობი ძველებურად ინგლისში ცხოვრობს, ჩვენ კი გვიხდება მისთვის თვითმფრინავის ბილეთების ყიდვა ყოველი მატჩის წინ და თამაშის შემდეგაც“.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (აკ. წერეთლის გამზ. № 2).

21, 22 და 24 სექტემბერს

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

მოსკოვის, კიევის, ერევნისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა ტურნირი სპორტის დამსახურებული ოსტატის

ავთანდილ ღოღობერიძის პრიზზე

მონაწილეობენ: ი. ჭავჭავაშვილი, ი. პშენიჩნიკოვი, ვ. პონომარიოვი, ა. მასლიონკინი, ვ. კაპლიჩნი, გ. ფედოტოვი, ბ. რაზინსკი, ვ. ბუბუკინი, გ. ჰუსაინოვი, ე. რუდაკოვი, ვ. ბანიკოვი, ვ. შჩეგოლკოვი, ფ. მედვიდი, ლ. ოსტროვსკი, ვ. ტროიანოვსკი, ა. ბიშოვეცი, ა. კოვალენკო, ვ. დალაქიანი, ვ. ვართანიანი, გ. ავეტისიანი, ვ. ოვსეფიანი, ლ. იშტოიანი, ვ. ოგანესიანი, თ. აბრამიანი, ს. კოტრიკაძე, რ. ურუშაძე, ბ. სიჭინავა, მ. ხურცილავა, ზ. ებრალიძე, გ. გაგუა, გ. სიჭინავა, გ. პეტრიაშვილი, ლ. ნოდია, მ. მესხი და სხვ.

მატჩების დასაწყისი 17 და 19 საათზე.

ბილეთების გაყიდვა — „დინამოს“ სტადიონზე 21 სექტემბერს, 12 საათიდან.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; შიდრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-53; მემანქანეები — 93-97-51.



ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უშ 10185